

F-171
1980



საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებები
და
ინციდუალური
კრებული

თბილისი
1980

№ 8
აგვისტო
АВГУСТ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

СБОРНИК
ПРИКАЗОВ
И
ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1980

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

1980 წლის 12 მარტის

ბრძანება № 207


საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წერილის „სასკოლო ცხოვრებაში სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისა და ნებატიურ მოვლენათა აღმოფხვრისათვის უკომპრომისონ ბრძოლის შემდგომი გაძლიერების შესახებ“ რესტუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სახალხო განათლების ორგანოებში განხილვის ორგანიზების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წერილი რესტუბლიკის ყველა მასწავლებლისა და სახალხო განათლების სისტემის მუშავისადმი „სასკოლო ცხოვრებაში სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისა და ნებატიურ მოვლენათა აღმოფხვრისათვის უკომპრომისონ ბრძოლის შემდგომი გაძლიერების შესახებ“.

აღნიშნული წერილის ადგილზე გაცნობისა და საყოველთაო განხილვის უზრუნველყოფის მიზნით
ვ ბრძანებ:

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წერილი რესტუბლიკის ყველა მასწავლებლისა და სახალხო განათლების სისტემის მუშავისადმი „სასკოლო ცხოვრებაში სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისა და ნებატიურ მოვლენათა აღმოფხვრისათვის უკომპრომისონ ბრძოლის შემდგომი გაძლიერების შესახებ“ განხილულ იქნას აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების კოლეგიებზე, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესტუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე, სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშავთა შრომითი კოლექტივების საერთო კრებებზე ა/შ 25 მაისამდე.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების სახალხო ფრონტის განყოფილებათა გამგეებმა:



სახელმწიფო სასამართლო
მისამართი



2.1. სკოლების პედაგოგიური კოლექტივები, სახალხო განცხადების სამსახურის მუშაյი დარაზმონ სასკოლო ცხოვრებაში ჩერ კიდევ შემორჩენილი, სოციალისტური საზოგადოებისათვის მიუღებელ შავნე, მანკიურ გამოვლინებათა აღმოსაფხვრელად; ფართო საზოგადოებრივ სამსჯავროზე გამოიტანონ პედაგოგიური ეთიკისა და სოციალისტური თანაცხოვრების წესების დარღვევის თითოეული შემთხვევა, მყაცრი ზომები მიაღონ დამნაშავეთა წინააღმდეგ.

2.2. რეაგირების გარეშე არ დატოვონ აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით შემოსული არც ერთი კრიტიკული შენიშვნა, განცხადება, წინადადება.

3. განხილვის შედეგები მოხსენდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

4. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაუვალოს სკოლების სამმართველოს (ამბ. კ. სუჯაშვილი).

მინისტრი

ო. მინისტრი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ჭ რ ი ლ ი

რესპუბლიკის ცხელა მასშავლებლისა და სახალხო
განათლების სისტემის მუშაკისადმი

სასკოლო ცხოვრებაში სოციალისტური დისციპლინის განმტკიც-
ებისა და ნეგატიურ მოვლენათა აღმოფხვრისათვის უკომპრომისო-
ბრძოლის შემდგომი გაძლიერების შესახებ

ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ
უკანასკნელ წლებში განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად
რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად განმტკიცდა პარტიული, სახელმწიფო
და შრომითი დისციპლინა; შთამბეჭდავი წარმატებებით მოპოვებული
ეკონომიკის აღმავლობაში; ბევრი რამ გაკეთდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფესვგადგმულ ნეგატიურ მოვლენათა აღმოსაფხვრელად. ყოველივე ეს კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს და არსებითად აუმჯობესებს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობას, ხელსაყრელ პირობებს ქმნის სკპ XXV და საქართველოს კპ XXV ყრილობების გადაწყვეტილებათა შესაბამისად სახალხო განათლების მთელი სისტემის შემდგომი სრულყოფისათვის.

ამ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ მიღებულმა ზომებმა რესპუბლიკის პედაგოგიური საზოგადოების საყოველთაო მხარდაჭერა პოვა.

წარმატებით მიმღინარეობს სასკოლო მშენებლობა, განმტკიცდა სასწავლო-მატერიალური ბაზა, განხორციელდა საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლებაზე გადასვლა, ამაღლდა სწავლების ხარისხი და მოსწავლეთა იყადემიური მოსწრების დონე, იქლო მეორეწლიანთა რიცხვმა, გაუმჯობესდა შრომითი აღზრდა და ფიზ-კულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა, კომერციულ ორგანიზაციათა აქტიური მონაწილეობით ქმედითი ბრძოლაა გაშლილი იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაში ფორმალიზმის ყოველგვარ გამოვლინებათა წინააღმდეგ.

ჩვენი მასწავლებლობის, სკოლისა და სახალხო განათლების მუშაკთა დიდი უმრავლესობა მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდება და ისრებული მოვალეობის შესრულებას, სოციალისტური დისკიპლინის განმტკიცებას და სასქოლო ცხოვრების რეჟიმის მტკიცედ დაცვას, რასაც შედეგად მოჰყვა შესამჩნევი პოზიტიური ძერები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა მაღალ შეფასებას აძლევენ თქვენს საპატიო, კეთილშობილურ პედაგოგიურ მოღვაწეობას და დაუცხრომად ზრუნავენ მასწავლებლის, სკოლის ავტორიტეტის ამაღლებისათვის. თქვენს შორის არიან სოციალისტური შრომის გმირები, სსრ კავშირის სახალხო მასწავლებელი, ბევრი დაჭილდოვდა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით, ბევრს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება, რაც აღმზრდელ პედაგოგთა უანგარი შრომის აღიარებისა და დაფასების ნათელი დადგანტურებაა.

ამხანაგი ლ. ი. ბრეუნევი სკპ ХХV ყრილობაზე ამბობდა: „ადამიანებისადმი ნდობა და პატივისცემა შეხამებული უნდა იქნეს დაკისრებული საქმისათვის მაღალ მომთხოვნელობასთან. ეს არის პარტიული და არამარტო პარტიული, არამედ მთელი ჩვენი მუშაობის კანონი“. ეს სიტყვები მუდამ უნდა გვახსოვდეს, ამ კანონის შესაბამისად უნდა წარიმართოს ყველა მასწავლებლის, სკოლის დირექტორის, სახალხო განათლების დარგის თითოეული მუშავის საქმიანობა და მას საფუძლად დაედოს დაკისრებული მოვალეობის შესრულებისათვის პერსონალური პასუხისმგებლობის განუხრელი ამაღლება.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო საჭიროდ თვლის ამ წერილით მიმართოს რესპუბლიკის ყველა მასწავლებელს და სახალხო განათლების სისტემის მუშავს იმის გამო, რომ სრულიად მოუთმენელი გახდა სკოლის მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული სერიოზული ნაკლოვანებების, აგრეთვე, წარსულში დაშვებული შეცდომებისა და დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობის მანკიერ ტრადიციად ჭიდული გამოვლინებებისადმი ჩვენი შემრიგებლური დამოკიდებულება. უწინარეს ყოვლისა, ეს ვლინდება მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებისა და შეფასების არაობიერქტურობაში, ლიბერალიზმში, პროტეკციონიზმსა და ანგარებაშიც კი, აგრეთვე სოციალისტური

დისციპლინისა და პედაგოგიური ეთიკის ნორმების სხვა დარღვევებზე.
ში. სამწუხაროდ, ყველან ჭერივანი პასუხისმგებლობით არ მოე-
კიდნენ იმ მოთხოვნათა შესრულებას, რომლებიც ჩამოყალიბებულია
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილე-
ბაში „რესპუბლიკაში პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შე-
სახებ“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, რესპუბ-
ლიკის სხვა ხელმძღვანელ ორგანოებში იგზავნება ბევრი განცხადე-
ბა და საჩივარი, რომლებშიც გამოაშარავებულია სხვადასხვა ხა-
სიათის დარღვევათა შემთხვევები, ზოგიერთი მასწავლებლისა და
სკოლის დირექტორის არაპედაგოგიური საქციელის დამადასტურე-
ბელი მრავალი ფაქტი.

თქვენ ყველას კარგად გახსოვთ საქართველოს სსრ განათლე-
ბის სამინისტროს კოლეგიის 1977 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტი-
ლება „მოსწავლეთა ცოდნის შეფასებისა და საშუალო სკოლის
კურსდამთავრებულთა ატესტატების გაცემის წესის სერიოზული
დარღვევების შესახებ“. მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება და შეფა-
სებაში სუბიექტივიზმი და პირადი დაინტერესება განსაკუთრებით
მახინჯი ფორმით გამოვლინდა საშუალო განათლების ატესტატიში სა-
ბოლოო ნიშნების შეტანის დროს უმაღლეს სასწავლებელში შესვ-
ლის გაითლების მიზნით. ამ დანაშაულებრივი მისწრაფების გამო
ხშირ შემთხვევაში ნიშანი „3“ და „4“ საშუალო განათლების ატეს-
ტატში გადასწორებული აღმოჩნდა უფრო მაღალ ნიშნად, რათა ხე-
ლოვნურად გაზრდილიყო საშუალო არითმეტიკული საატესტატო
ნიშანი. შემოწმებით გამოიჩინა, რომ ხშირად მასწავლებელი და
სკოლის დირექტორი მაამებლურ დამოკიდებულებას იჩინენ ზოგი-
ერთი მოსწავლის მშობლების მიმართ, რის შედეგადაც ჩადენილია
დანაშაული. ისინი უარს არ ამბობენ სხვადასხვა სახისა და ფორმის
„პატივისცემაზე“, იღებენ საჩუქრებს, რისთვისაც წინასწარ გროვ-
დება ფული და ამ საქმეში ინიციატორებადაც შვილებისათვის მა-
ღალი ნიშნების მოსურნე „აქტიური“ მშობლები გამოდიან. სამწუ-
ხაროდ, უხეში დარღვევები ხდება მაშინაც, როცა საქმე ეხება თვით
მასწავლებელთა შვილებსა და ნათესავებს, რომლებიც ამავე სკო-
ლაში სწავლობენ. ასეთი აღმაშფოთებელი და სრულიად შეუწყნა-

რებელი ფაქტები გამოვლინდა ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, რუსთაველისა და ბუგდილის, აგრეთვე გეგჩერის, ხაშურის, გარდაპნის, დმანისისა და სხვა რაიონების სკოლებში. ამ სკოლების დირექტორები და უშუალოდ დამნაშავე მასწავლებლები განთავისუფლდნენ სამუშაოდან, ბევრს კი მკაცრი აღმინისტრაციული სასჯელი დაედო. მიუხედავად ამისა, განმეორებითმა შემოწმებამ ცხადყო, რომ მსგავსი, აგრეთვე სოციალისტური დისციპლინის სხვა უხეში დარღვევები ქვლავაც გრძელდება.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ 1979 წლის 30 მარტს განიხილა საკითხი „რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის და ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის მდგომარეობის შესახებ“, ხოლო იმავე წლის 4 ოქტომბერს — „სახალხო განათლების მუშაკთა შორის დანაშაულებრივ ქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები.

სამწუხაროდ, აჩებობს საფუძველი, როს გამოც საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო ღრმად არის შეშფოთებული და საჭიროდ მიიჩნევს ამ საკითხებზე თქვენი ყურადღების გამახვილებას.

მცხოვრის რაიონის სოფელ დიღმის საშუალო სკოლის ყოფილმა ღირებულებული განვითარებული დღის ჯუფის აუმზრდელისაგან 300 მანეთი აიღო ქრთამად მისთვის დაწყებით კლასებში საათების მიცემისათვის და დაპატიმრებულია. ქ. ქ. თბილისის, სოხუმის, გორის, აგრეთვე ხაშურისა და სხვა რაიონების სკოლების ზოგიერთი მუშაკი საბაჟოს თანამშრომლებმა ამხილეს ტურისტული მოგზაურობის დროს გადამალული ფულისა და სხვა ნივთების საზღვარგარეთ გატანის ცდაში. საჩერის რაიონის პარტიულ-აღმინისტრაციულმა ორგანოებმა ამას წინათ გამოავლინეს რაიონის ზოგიერთ სკოლაში ტკივილგამაყუჩებელი ნივთიერების „პრომედოლის“ შეტანისა და შემდგომი მისი დატაცების შემთხვევები. ამჟამად მიმდინარეობს ამ საქმის ძიება. წინასწარი მასალებით ირკვევა, რომ რაიონის სახალხო განათლების განყოფილების მეთოდებინეტის გამგის ქ. ხოგაშვილის აქტიური ხელშეწყობით ამ დანაშაულს ჩადიოდა მრავალჯერ ნასამართლევი ნარკომანი ვინმე ქ. კალმახელიძე.

სასკოლო ცხოვრებაში არსებული ზემოაღნიშნული და სხვა ხასიათის ნეგატიური მოვლენები გავლენას ახდენენ იმაზეც, რომ მოსწავლეთა შორის ჯერ კიდევ დიდია სამართალდამრღვევთა რიცხვი. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ საღამოს (ცვლის), აგრეთვე დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლების მოსწავლეთა ნაწილი არ მუშაობს, ხშირია გაქვეთილების არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევები, სუსტია შორმითი და საშემსრულებლო დისციპლინა; არსებით გაუმჯობესებას მოითხოვს შინასასკოლო ხელმძღვანელობა და კონტროლი, რათა უზრუნველვყოთ სწავლების ხარისხის შემდგომი ამაღლება და აღმოვფხვრათ დარღვევები მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასებაში.

1979 წლის 13 ნოემბერს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხს და მიიღო გადაწყვეტილება „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1978—1979 სასწავლო წლის გამოსაშვები და კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ“. თქვენი ყურადღება მჭერადაც გამახვილდა იმაზე, რომ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა ჯერთვან მომზადებას სასწავლო პროგრამების ფარგლებში, ხოლო მათი საატესტაციო ნიშნები ყოველთვის ობიექტურად ვერ ასახვენ რეალური ცოდნის დონეს. ეს იმის გამოც ხდება, რომ ცალკეული სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებში მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასებაში უმცროსი კლასებიდანვე შეინიშნება არაობიექტურობა, ლიბერალიზმი, პროტექციონიზმი, რაც მთავრდება გამოსაშვებ გამოცდებზე უხეში დარღვევებით. რესპუბლიკის რიგ სასკოლო პედაგოგიურ კოლექტივებსა და სახალხო განათლების განყოფილებებში არ არის შექმნილი პრინციპული მომთხოვნელობის, ობიექტურობისა და დაკისრებული მოვალეობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს ოქროს მედლისა და მაღალქულიანი ატესტატის უსაფუძვლოდ მაძიებელთა მომრავლებას.

გასულ სასწავლო წელს სკოლის, რაიონული და საქალაქო კომისიების მიერ ოქროს მედლის ზოგიერთი კანდიდატის საგამოცდ



ნაშრომებზე შედგენილი რეცენზიები და შეფასება არ შეესაბამებოთ ვართა და ნამუშევრების ფაქტობრივ დონეს. ამის გამო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში წარმოდგენილ ოქროს მედლის 51 კან-დიდატს უარი ეთქვა დაწილდოებაზე. თბილისის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტში, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნი-კურ და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტებში მისაღებ გამოცდებ-ზე შარშან არადამაყმაყოფილებელი შეფასება მიიღო 3457 აბიტუ-რიენტმა, მათ შორის 15 ოქროს მედალოსანმა, 1079 — „5“ ქულია-ნი და 2363 — „4,5“-ქულიანი ატესტატის მფლობელმა. კურსდამ-თავრებულთა საგრძნობმა ნაწილმა განსაკუთრებით სუსტი მომზა-დება გამოავლინა მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, მათემა-ტიკაში, ფიზიკასა და ქიმიაში.

თქვენ ყველაფერი ეს კარგად იცით, დანაშაულსაც თქვენს თვალშინ ჩადიან. ამას ხედავენ მოსწავლეები, მშობლები, ხედავთ პატიოსანი, უანგარო მასწავლებლებიც, მაგრამ არც რომელიმე თქვენგანი და არც სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ასეთი აღმაშ-ფოთებელი ფაქტების წინააღმდეგ ხმას არ იმაღლებთ, სამარცხვინო დუმილით არიდებთ მათ თვალს, უვლით გვერდს. რით შეიძლება ავ-სნათ თქვენი ასეთი პასიურობა, შემწყნარებლობა ულირსი კოლე-გებისადმი, რამ ჩაგიგუბათ პირში წყალი და რამ გაიძულათ გულ-გრილი იყოთ იმათ მიმართ, ვინც ლაფში სვრის და არცხვენს მას-წავლებლის სახელს, მაღალ ღირსებას, ავტორიტეტს?

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო სწორედ იმიტომ მოგმართავთ თქვენ ამ წერილით, რომ ბოლო მოუღოთ განუკითხავ დამოკიდებულებას სასკოლო ცხოვრების ნეგატიური მოვლენები-სადმი და დამნაშავეებს პასუხი ვაგებინოთ. ამჟამად მოწმდება რეა-კლასდამთავრებულ მოსწავლეთათვის მოწმობების გაცემის პრაქტიკა და კვლავ მეაცრა ზომები იქნება მიღებული იმ მუშაკთა მიმართ, ვი-საც არ სურს წარსულის მწარე გაკვეთილებიდან სათანადო დასკ-ნები გამოიტანოს.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ განათლების სამი-ნისტრო თქვენს ყურადღებას მიაპყრობს შემდეგ გარემოებას: და-უმსახურებლად მიღებულ მაღალ ნიშნებს ამოფარებულმა მოსწავ-ლეებმა სუსტად იციან პროგრამით გათვალისწინებული მასალა, ალ-

არ ცნობენ სკოლის, მასწავლებლის ავტორიტეტს და რეპეტიტორულობას
 რებთან ემზადებიან უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოც-
 დებისათვის მხოლოდ სპეციალურ დისციპლინებში. სკოლა ხშირად
 ექცევა იმ მშობლების არაფანსალი გავლენის ქვეშ, რომლებიც და-
 უსმახურებლად მოითხოვენ თავიანთი შვილებისათვის მაღალი ნიშ-
 ნების დაწერას, რაც ბევრ შემთხვევაში სრულდება კიდეც სკოლის
 დირექტორებისა და ზოგიერთი მასწავლებლის სეპარატული მოქ-
 მედებით პედაგოგიური კოლექტივებისათვის გვერდის ავლით; მოს-
 წავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასების პრაქტიკაში დაშვებული
 დარღვევები ხელს უშლის ახალგაზრდობის სწორ პროფესიულ ორგ-
 ენტაციას, ნაცვლად კურსდამთავრებულთა ძირითადი ნაწილის სა-
 ხალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში დასასაქმებლად ორიენ-
 ტირებისა, სკოლა ხელოვნურად ზრდის უმაღლეს სასწავლებლებ-
 ში შესვლის პრეტენდენტთა რიცხვს იმათ ხარჯზე, ვინც ამისათვის
 არ არის სათანადოდ მომზადებული; და ბოლოს, ყოველივე ეს ჩირქეს
 სცხებს საბჭოთა მასწავლებლის მაღალ ღირსებას, სახელს უტესს
 აღმზრდელის პროფესიას და ავტორიტეტს უღიავს სკოლას, იწ-
 ვევს ფართო საზოგადოებრიობის, კერძოდ, თვით მოსწავლეთა დი-
 დი ნაწილისა და მშობლების სამართლიან გულისწყრომას.

სასკოლო პედაგოგიურმა კოლექტივებმა ღრმად, საფუძვლია-
 ნად უნდა გააანალიზონ მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასება-
 ში არსებული სერიოზული დარღვევები იმის გათვალისწინებით,
 რომ ასეთი მანკიური პრაქტიკა უარყოფით გავლენას ახდენს სწავ-
 ლებისა და სწავლის ხარისხის ამაღლებაზე, რაც ხელს უწყობს რე-
 პეტიტორების გავრცელებას, წარმოშობს კონფლიქტურ სიტუაცი-
 ებს მოსწავლესა და მასწავლებელს შორის, იწვევს დაპირისპირე-
 ბას სკოლის კოლექტივში და ართულებს მოსწავლე-ახალგაზრდო-
 ბის იდეურ-ზნეობრივი მრწამსის ჩამოყალიბების უმნიშვნელოვა-
 ნეს საქმეს. საჭიროა მომავალშიც შეურიგებელნი ვიყოთ იმ მას-
 წავლებელთა და სკოლის ხელმძღვანელთა მიმართ, რომლებიც და-
 ნაშაულებრივ უპასუხისმგებლობას იჩენენ სწავლების ხარისხის
 ამაღლებისა და მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასების სახელ-
 მწიფოებრივი მნიშვნელობის საქმისადმი.

ამ ხანა გებო!

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო გამოთქვამს შეტყიდულ რწმენას, რომ რესპუბლიკის მასწავლებლობის ჯანსაღი უმრავლესობა თავის გავლენას მოახდენს სასკოლო ცხოვრებაში ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისათვის ბრძოლის შემდგომ გაძლიერებაზე; ხმას აღიმაღლებს სკოლებში ჭერ კიდევ არსებული, საზოგადოებრივი აზრისათვის ყოვლად მიუღებელი მახინჯი გამოვლინებების წინააღმდეგ და საქმით უპასუხებს უმნიშვნელოვანეს პარტიულ დოკუმენტებს, რომლებიც ნაკარნახევია მოზარდ თაობაზე, საბჭოთა მასწავლებლობაზე, მთელი სასკოლო განათლების გაუმჯობესებაზე დაუცხრომელი ზრუნვით.

ეს წერილი საგანგებოდ უნდა იქნას განხილული რესპუბლიკის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, აგრეთვე, სახალხო განათლების განყოფილებათა საბჭოებზე, რათა გაკეთდეს კონკრეტული ანალიზი და დაისახოს პრაქტიკული ღონისძიებები აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ПРИКАЗ
МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

Об организации обсуждения в общеобразовательных школах и органах народного образования республики Письма Министерства просвещения Грузинской ССР «О дальнейшем усилении бескомпромиссной борьбы за укрепление социалистической дисциплины и искоренение негативных явлений в школьной жизни»

12 марта 1980 года, № 207

Центральный Комитет Компартии Грузии одобрил Письмо Министерства просвещения Грузинской ССР ко всем учителям республики и работникам системы народного образования «О дальнейшем усилении бескомпромиссной борьбы за укрепление социалистической дисциплины и искоренение негативных явлений в школьной жизни».

С целью ознакомления с вышеуказанным Письмом на местах и обеспечения обсуждения его педагогическими коллективами учреждений народного образования приказываю:

1. Письмо Министерства просвещения Грузинской ССР ко всем учителям республики и работникам системы народного образования «О дальнейшем усилении бескомпромиссной борьбы за укрепление социалистической дисциплины и искоренение негативных явлений в школьной жизни» рассмотреть на коллегиях Министерств просвещения Абхазской и Аджарской АССР, заседаниях советов отделов народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики, общих собраниях работников школ, дошкольных и внешкольных учреждений, трудовых коллективов до 25 мая с. г.



2. Министрам просвещения Абхазской и Аджарской АССР, заведующим отделами народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики:

2.1. мобилизовать педагогические коллективы школ, всех работников системы народного образования на искоренение все еще бытующих в школьной жизни, вредных, порочных, неприемлемых для социалистического общества явлений, сделать каждый случай нарушения правил педагогической этики и социалистической жизни предметом бескомпромиссного обсуждения, принимать строгие меры в отношении виновных лиц;

2.2. не оставлять вне реагирования ни одного критического замечания, ни одного заявления и предложения, поступивших в связи с вышеуказанным Письмом.

3. О результатах обсуждения докладывать Министерству просвещения Грузинской ССР.

4. Контроль за выполнением настоящего приказа поручить Управлению школ (тov. К. Суджашвили).

Министр

О. КИНКЛАДЗЕ

ПИСЬМО МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР КО ВСЕМ УЧИТЕЛЯМ РЕСПУБЛИКИ И РАБОТНИКАМ СИСТЕМЫ НАРОДНОГО ОБРАЗОВАНИЯ

О дальнейшем усилении бескомпромиссной борьбы за укрепление социалистической дисциплины и искоренение негативных явлений в школьной жизни

ТОВАРИЩИ!

За последние годы Центральным Комитетом Компартии Грузии проведена большая работа, направленная на укрепление в республике партийной, государственной и трудовой дисциплины, преодоление отставания в народном хозяйстве, усиление борьбы с негативными явлениями в общественной жизни, что оказало благотворное влияние на существенное улучшение деятельности общеобразовательных школ республики и дальнейшее совершенствование всей системы народного образования в соответствии с требованиями XXV съезда КПСС и XXV съезда Компартии Грузии.

Меры, предпринятые Министерством просвещения Грузинской ССР по выполнению этих решений нашли всеобщую поддержку педагогической общественности республики.

Дорогие товарищи, учителя, работники школы и органов народного образования! Вы энергично взялись за решение намеченных задач. Успешно ведется школьное строительство, окрепла учебно-материальная база, в основном завершен переход ко всеобщему обязательному среднему образованию, повысились качество обучения и академическая успеваемость школьников, сократилось число второгодников, улучшились трудовое воспитание и физкультурно-оздоровительная работа. При активном участии комсомольских организаций в школах ведется действенная борьба против проявлений формализма в идеально-воспитательной работе.

Подавляющее большинство учителей, работников школ и органов народного образования с большой ответственностью относятся к порученному делу, борясь за укрепление социалистической дисциплины и неукоснительное соблюдение режима школьной жизни. Результатом этого явились многие позитивные сдвиги.

Центральный Комитет Компартии Грузии и Совет Министров Грузинской ССР высоко ценят ваш почетный педагогический труд, неустанно заботятся о повышении авторитета учителя, школы. Среди вас есть Герои Социалистического Труда, Народный Учитель Союза ССР, многие награждены орденами и медалями, удостоены почетного звания заслуженного учителя республики. В этом признание нелегкого, но благородного труда педагогов-воспитателей.

Вступая на ХХV съезда КПСС товарищ Л. И. Брежнев говорил: «Доверие и уважение к людям должны сочетаться с высокой требовательностью за порученное дело. Это — закон партийной, да и не только партийной, но всей нашей работы». Эти слова следует постоянно помнить, направляя в соответствии с этим законом деятельность всех работников системы народного образования.


Министерство просвещения Грузинской ССР сочло необходимым обратиться с настоящим письмом ко всем учителям и работникам системы народного образования республики в связи с тем, что все более и более нетерпимым становится примиренческое отношение работников школ и органов народного образования к имеющимся недостаткам, к укоренившимся порочным традициям. Это, прежде всего, проявляется в необъективности, либерализме, протекционизме, а то и в корыстном отношении, проявляемом при проверке и оценке знаний учащихся. К сожалению, не везде с должной ответственностью отнеслись к практическому осуществлению требований, изложенных в постановлении ЦК КП Грузии «О борьбе против протекционизма в республике».

В Центральный Комитет Компартии Грузии и другие руководящие органы республики поступает немало заявлений и жалоб, в которых приводятся множество фактов, свидетельствующих о различного рода нарушениях, необъективности некоторых преподавателей и директоров школ.

Всем вам хорошо известно решение коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 8 декабря 1977 года «Об оценке знаний учащихся и серьезных нарушениях при выдаче аттестатов выпускникам средней школы». Субъективизм и личная заинтересованность в оценке знаний школьников приняли наиболее уродливые формы при выведении среднего балла с целью льготного поступления в высшие учебные заведения. Для получения высокого среднеарифметического балла оценки «3» и «4» в аттестате о среднем образовании в ряде случаев оказывались исправленными на более высокие. Проверкой установлено, что подобное преступление передко является результатом неблаговидного контакта учителей и родителей некоторых учащихся.

Учителя, директора школ не чураются всевозможных знаков «внимания», принимают подношения, подарки, для чего заранее собираются деньги, а инициаторами таких поборов выступают «активные» родители, добивающиеся незаслуженно высоких оценок для своих детей. К сожалению, грубые нарушения имеют место и тогда, когда дело касается учителей, дети или родственники которых обучаются в школах, где они преподают. Подобные возмутительные факты имели место в школах городов Тбилиси, Кутаиси, Зугдиди, Гегечкорского, Хашурского, Гардабанского, Дманинского и других районов. Виновные в незаконных действиях директора школ и учителя освобождены от работы, на других наложены строгие административные взыскания. Однако, повторная проверка показала, что подобные, а также другие нарушения социалистической дисциплины все еще продолжают иметь место.

30 марта 1979 года коллегия Министерства просвещения



Грузинской ССР рассмотрела вопрос «Об укрепления социалистической дисциплины и борьбе с негативными явлениями в органах народного образования и общеобразовательных школах республики», а 4 октября того же года — «Об усилении борьбы против преступных действий среди работников народного образования».

К сожалению, у Министерства просвещения Грузинской ССР есть основания для серьезной озабоченности, и оно, считает своим долгом заострить ваше внимание на эти вопросы.

Бывший директор Дигоцкой средней школы Мцхетского района Г. Кобиашвили получил от воспитателя группы продленного дня взятку в сумме 300 рублей за предоставление уроков в начальных классах и арестован. Некоторые школьные работники городов Тбилиси, Сухуми, Гори, Ханурского и других районов задержаны при попытке незаконно вывезти деньги и вещи в зарубежной туристической поездке. Партийно-административными органами Сачхерского района выявлены факты хищения в некоторых школах района болеуютоляющего средства «промедол». В процессе следствия выяснилось, что активное содействие оказывал в этом деле многократно судимому наркоману К. Калмакелидзе заведующий районным методкабинетом К. Ходжашвили, привлеченный к уголовной ответственности.

Подобные негативные явления в жизни школ способствуют все еще высокому уровню правонарушений среди учащихся. Причина тому — низкая трудовая и исполнительская дисциплина, значительное число пропускаемых безуважительных причин уроков, а также и то, что часть учеников вечерних (сменных) иочно-заочных школ не работает. Коренного улучшения требуют внутришкольное руководство и контроль с тем, чтобы добиться дальнейшего повышения качества обучения и искоренить нарушения в практике проверки и оценки знаний учащихся.

Коллегия Министерства просвещения Грузинской ССР

13 ноября 1979 года вновь вернулась к этому вопросу и приняла решение «Об итогах выпускных экзаменов в средних общеобразовательных школах республики за 1978—1979 учебный год и приемных экзаменах в высшие учебные заведения». Ваше внимание и на этот раз было обращено на то, что в определенной части общеобразовательных школ республики все еще не обеспечивается достаточная подготовка выпускников в объеме учебных программ, оценки в аттестате не всегда объективно отражают реальный уровень знаний. Это происходит потому, что в некоторых школьных педагогических коллективах начиная уже с младших классов при проверке и оценке знаний проявляются необъективность, либерализм, протекционизм, что на выпускных экзаменах заканчивается грубыми нарушениями инструкции. В педагогических коллективах ряда школ не создана атмосфера принципиальной требовательности, объективности и добросовестного отношения к порученному делу, что способствует искусственному росту числа соискателей золотых медалей и аттестатов с высокими баллами.

Так было и в прошлом учебном году, некоторые рецензии и оценки не соответствовали реальному уровню представленных на золотую медаль экзаменационных работ. В связи с этим в награждении золотой медалью было отказано 51 кандидату. На приемных экзаменах в Тбилисском государственном университете, Грузинском политехническом институте имени В. И. Ленина и Тбилисском медицинском институте неудовлетворительные оценки получили 3457 абитурентов, в том числе 15, награжденных золотой медалью, 1079 — имеющих аттестат со средним арифметическим баллом «5» и 2363 — аттестат с «4,5» балла. Особенно слабые знания значительная часть абитуриентов обнаружила по родному языку и литературе, математике, физике и химии.

Все это вам хорошо известно и происходит на ваших глазах. Это видят школьники, их родители, видите вы, чест-

ные, бескорыстные педагоги. Но почему же никто из вас не выступает против таких возмутительных фактов, закрывая на них глаза? Чем объяснить такую пассивность, непростительное равнодушие к недостойным поступкам ваших коллег, что заставляет вас молчать, что вынуждает оставаться безразличными к тем, кто подрывает авторитет учителя, роняет его высокое звание?!

Министерство просвещения Грузинской ССР именно потому обращается к вам с настоящим письмом, чтобы покончить с негативными явлениями в школьной жизни, привлечь к ответственности всех виновных.

В настоящее время проверяется практика выдачи учащимся свидетельств о восьмилетнем образовании, и вновь будут приняты строгие меры в отношении тех, кто упорно не желает сделать соответствующие выводы из горьких уроков прошлого.

В связи с этим Министерство просвещения Грузинской ССР обращает ваше внимание на следующие обстоятельства:

Получившие незаслуженно высокие оценки школьники плохо знают программный материал, не признают авторитета учителя и готовятся с репетиторами только по тем специальным предметам, которые нужны для поступления в вуз. Часто школа попадает под незддоровое влияние родителей, выспраивающих для своих детей высокие оценки, причем, нередко их незаслуженные претензии удовлетворяются путем сепараторных действий отдельных учителей, директоров школ в обход педагогического коллектива. Нарушения, допускаемые в практике проверки и оценки знаний учащихся, тормозят дело правильной профессиональной ориентации молодежи, и вместо того, чтобы ориентировать их на работу в различные отрасли народного хозяйства, школа искусственно завышает число стремящихся поступить в вуз прямо со школьной скамьи за счет тех, кто для этого недостаточно подготовлен.

Школьным педагогическим коллективам надлежит глубоко и основательно проанализировать серьезные нарушения речи практика погубна влияет на повышение качества учебно-воспитательной работы, способствует распространению репетиторства, создает конфликтные ситуации между учителем и школьником, вызывает разлад в коллективе и осложняет важнейшее дело формирования идеально-нравственных убеждений учащейся молодежи. Необходимо и в дальнейшем проявлять непримиримость в отношении тех учителей и руководителей школ, которые проявляют преступную безответственность к такому важному государственному делу, как повышение качества обучения и совершенствование практики проверки и оценки знаний учащихся.

Товарищи!

Министерство просвещения Грузинской ССР выражает твердую уверенность в том, что передовая часть педагогической общественности республики сделает все необходимое для дальнейшего усиления борьбы за искоренение негативных явлений в школьной жизни и не только словом, но и делом ответит на требования, содержащиеся в важнейших партийных документах, продиктованных неустанный заботой партии о подрастающем поколении, советском учительстве, обо всем деле народного образования.

Это письмо следует обсудить на педагогических советах всех общеобразовательных школ республики, советах отделов народного образования с тем, чтобы сделать конкретный анализ своей работы и выработать практические мероприятия, направленные на искоренение отмеченных недостатков.

Министерство просвещения Грузинской ССР

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

კოლეგიის 1980 წლის 14 მარტის

გ ა დ ა წ უ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასებისა და რვაწლიანი განათლების მოწმობების გაცემის საქმეში არსებული სერიოზული დარღვევების შესახებ

რესპუბლიკის რიგი რაიონების ზოგადსაგნმანათლებლო სკოლებში ჩატარებული შემოწმებით გამოვლინდა, რომ მიუხედავად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და ადგილობრივი სახალხო განათლების ორგანოების მიერ გატარებული მრავალი ღონისძიებისა, სასკოლო პედაგოგიურ კოლექტივებში ზნეობრივი კლიმატის გაჭანსალებისათვის, მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასებაში არამატერიულად რგოლში სოციალისტური დისკიპლინის განმტკიცებისათვის, დალგეულ სასკოლო პედაგოგიურ კოლექტივებში კვლავ ადგილი აქვს მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასებაში არამატერიულობას, ლიბერალიზმს, პროტექციონიზმს, რამაც მკაფიო გამოხატულება პპოვა რვაკლასდამთავრებული ფრიადოსანი მოსწავლეების მიმდინარე, მეოთხედური და საბოლოო ნიშნების ხელოვნურად ამაღლებაში, ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელისა და მასწავლებლის მიერ რვა კლასის ფრიადზე დამთავრების მოწმობისა და ქების სიგელების ისეთ პიროვნებებზე გაცემაში, რომლებიც მას არ იმსახურებენ და უფრო მეტიც, საერთოდ არ უსწავლიათ ამ სკოლაში. ყოველივე ამის შედეგად ადგილი აქვს შემთხვევებს, როცა ასეთი გზით მიღებული ფრიადოსნობის მოწმობების მფლობელები ახერხებენ სპეციალურ საშუალო სასწავლებლებში, თუ ტექნიკურებში უგამოცდოდ ჩარიცხვას.

ზემოაღნიშნული შედეგია იმისა, რომ რიგი რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებებმა და სკოლების ხელმძღვანელებმა ჯერ კიდევ ვერ გამოიტანეს სათანადო დასკვნები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1977 წლის 8 დეკემბრისა და 1979 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებებიდან „მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასების საქმეში არსებული

სერიოზული დარღვევების „შესახებ“ და „სახალხო განათლების ორგანიზაციასა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სოციალისტური დისკიპლინის განმტკიცებისათვის და ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის მდგრადი მიზანის შესახებ“. მათ ბრძოლას ხასკოლო ცხოვრებაში არსებული ნაკლოვანებების წინააღმდეგ შემთხვევითი, ეპიზოდური და არაპრინციპული ხასიათი აქვს, რის შედეგადც ყველა სასკოლო პედაგოგიურ კოლექტივში არ არის შექმნილი მაღალპრინციპული მომთხოვნელობისა და შეურიგებლობის ატმოსფერო იმ პირთა მიმართ, რომლებიც უხეშად არღვევენ სკოლის წესდებას, იჩენენ ლიბერალიზმს და უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან სახალხო განათლების მუშაკის საპატიო მოვალეობას.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს ცნობა „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასებისა და რვაკლას-დამთავრებულთა მოწმობების გაცემის საქმეში არსებული სერიოზული დარღვევების „შესახებ“ (თან ერთვის) დაეგზავნოს სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

2.1. კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე განიხილონ აღნიშნული გადაწყვეტილება, მკაცრად იმსჯელონ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში რვაკლას-დამთავრებულ ფრიადოსან მოსწავლეთა ცოდნის შეფასებისა და კურსდამთავრებულთა მოწმობების გაცემის საქმეში სერიოზული დარღვევების „შესახებ, დასახონ ამ დანაშაულებრივი ქმედების პროფილაქტიკის კონკრეტული გზები და საშუალებები. თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში იხელმძღვანელონ ისეთი მნიშვნელოვანი ღოკუმენტით, როგორიცაა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წერილი „სასკოლო ცხოვრებაში სოციალისტური დისკიპლინის განმტკიცებისა და ნეგატიურ მოვლენათა აღმოფხვრისათვის უკომპრომისონ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.

2.2. უზრუნველყონ სახელმწიფო ობრივი, შრომითი და სპეციალური დისკიპლინის განმტკიცება სახალხო განათლების სისტემის ყველა რგოლში. სასკოლო ცხოვრებაში ჯერ კიდევ ფეხმოკიდებული ნეგატიური მოვლენებისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ შეურიგებლობისა და მაღალპრინციპული მომთხოვნელობის ატმოსფეროს შექმნით მიაღწიონ პედაგოგიური კოლექტივების მაქსიმალურ მობილიზებას. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

2.3. სისტემატური კონტროლი დააწესონ სკოლების მუშაობაზე მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შემოწმება-შეფასებისა და რვა კლასის დამთავრების მოწმობებისა და საშუალო განათლების ატესტატების გაცემის საქმეში. უმკაცრესი ზომები მიიღონ სკოლების იმ მუშავთა მიმართ, რომლებიც სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან სასკოლო საქმიანობის ამ უმნიშვნელოვანეს საკითხს. ამასთან ერთად განიხილონ იმ მუშავთა პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთა საქმიანობა უარყოფითად არის შეფასებული სკოლების სამშართველოს თანდართულ ცნობაში.

3. პედაგოგიური კოლექტივებისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობის, უკონტროლობისა და დაკისრებული მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამკიდებულებისათვის, მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასების საქმეში დაშვებული სიყალბისათვის და რვა კლასის განათლების მოწმობების გაცემაში სკოლის წესდებისა და ინსტრუქციის უხეში დარღვევებისათვის სკოლის დირექტორები: რ. გულაძანი (მესტიის რაიონის სოფელ იელის რვაწლიანი სკოლა) და მ. ონიანი (ლენტეხის რაიონის სოფელ მელურის რვაწლიანი სკოლა) განთავისუფლდნენ დაკავებული თანმიდებობიდან.

ამავე დარღვევებისათვის სკოლის დირექტორები: გ. ფინდელიანი (მესტიის რაიონის სოფელ ნაკრის რვაწლიანი სკოლა), მ. ავალიანი (მესტიის რაიონის სოფელ აღიშის რვაწლიანი სკოლა), რ. გუჯეგიანი (მესტიის რაიონის სოფელ მუღახის საშუალო სკოლა), ვ. ნავერიანი (მესტიის რაიონის სოფელ მურშეელის რვაწლიანი სკოლა), შ. ოსეფაშვილი (ყვარლის რაიონის სოფელ ჭიათურის საშუალო სკოლა) იმსახურებენ სამუშაოდან განთავისუფლებას, რისთვისაც დაისვას საკითხი სათანადო რაიონული საბჭოების აღმასკომების წი-



ნაშე მათი, როგორც დეპუტატების, სამუშაოდან განთავისუფლებაზე გადამდებარებული თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ (ამხ. ლ. ჩიქვანაია) განიხილოს და გადაწყვიტოს 56-ე და 117-ე საშუალო სკოლების დირექტორების ამხ. ამხ. ვ. ცერცვაძისა და ნ. კობახიძის თანამდებობაზე დატოვების მიზანშეწონილობის საკითხი.

4. მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასებაში დაშვებული დარღვევებისა და ამ საქმეში მასწავლებელთა მუშაობაზე არადამაკაყაყოფილებელი კონტროლისათვის სკოლების დირექტორებს: გ. ჭიჭიკაშვილს (გურგაანის რაიონის სოფელ გურგაანის საშუალო სკოლა), გ. მარგოშვილს (ახმეტის რაიონის სოფელ დუისის საშუალო სკოლა), თ. იაშვილს (საჩხერის რაიონის სოფელ მახათაურის რვაწლიანი სკოლა), თ. გუგუშვილს (აბაშის რაიონის სოფელ ეწერის რვაწლიანი სკოლა), შ. ქიბროწაშვილს (ახმეტის 1-ლი საშუალო სკოლა), ქ. მუსელიანს (ლენტერის საშუალო სკოლა), ლასხიშვილს (დაბა ვანის საშუალო სკოლა), ჭ. კახიანს (მესტიის რაიონის სოფელ მუჯალის რვაწლიანი სკოლა), თ. მიქაელს (სამტრედიის მე-3 საშუალო სკოლა), გ. შამფრიანს (მესტიის რაიონის სოფელ მაზერის რვაწლიანი სკოლა), ე. ვეზდენს (მესტიის რაიონის სოფელ ხაიშის საშუალო სკოლა), ბ. შებითიძეს (საჩხერის რაიონის სოფელ ჭალოვანის საშუალო სკოლა), ი. მიქაელს (ცხავიის რაიონის სოფელ ძევლი სენაკის საშუალო სკოლა) და ს. გელოზიას (ცხავიის რაიონის სოფელ ქურის რვაწლიანი სკოლა) გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

5. მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასებაში დაშვებული შეცდომებისათვის და მასწავლებელთა მუშაობაზე სუსტი კონტროლისათვის სკოლის დირექტორებს: გ. სიხარულიძეს (ქ. ქუთაისის მე-17 საშუალო სკოლა), მოსიაშვილს (ახმეტის სკოლა-ინტერნატი), მათიაშვილს (გურგაანის რაიონის სოფელ ჩალაუბნის რვაწლიანი სკოლა), ნ. ჩახუას (სამტრედიის რაიონის სოფელ დაბლა გომის რვაწლიანი სკოლა), როსტიაშვილს (საგარეგოს მე-3 საშუალო სკოლა), ნ. კაკაშვილს (ცხავიის 1-ლი საშუალო სკოლა) და დ. ახალიაძეს (ცხავიის მე-3 საშუალო სკოლა) გამოეცხადოთ საყვედური.

6. დაქვემდებარებული სკოლების მუშაობისადმი არადამაკმა-



ყოფილებელი ხელმძღვანელობისა და უკონტროლობისათვის, მაც გამოიწვია სერიოზული ხასიათის დარღვევები რაიონის სკოლებში მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასებისა და რვა კლასის განათლების მოწმობების შენახვა-გაცემის საქმეში, ლენტეხის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ი. ჩანქსელიანს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

7. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ქ. თბილისის 46-ე საშუალო სკოლის დირექტორი თ. ჭანტურიშვილი, ქ. ქუთაისის 23-ე საშუალო სკოლის დირექტორი დ. ქომეთიანი, ქ. თბილისის 27-ე საღამოს სკოლის დირექტორი ნ. არჩევაძე, ქარელის რაიონის სოფელ ძლევის ჯვრის რვაწლიანი სკოლის დირექტორი რ. გიგაური, ლაგოდეხის რაიონის სოფელ კაბლის რვაწლიანი სკოლის დირექტორი მ. ნავრუზოვი, საგარეჯოს რაიონის სოფელ შიბლიანის რვაწლიანი სკოლის დირექტორი გ. ობგელიანი, რუსთავის მე-4 საღამოს საშუალო სკოლის დირექტორი მ. სულაკაური, გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანაზის საშუალო სკოლის დირექტორი ა. მჭედლიშვილი, თიანეთის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორი ფ. შატებრაშვილი, ახმეტის რაიონის სოფელ მატნის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი ს. ღეკანოზიშვილი განთავისუფლებული არიან დაკავებული თანამდებობიდან.

მიღებულ იქნას ცნობად, რომ მესტიის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე ნ. გუგეგიანი განთავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან.

8. სახალხო განათლების განყოფილების გამგეებმა სასწავლო წლის დასასრულს განიხილონ გადაწყვეტილების მე-4 და მე-5 მუხლებში მოხსენიებული სკოლის დირექტორების დაკავებულ თანამდებობაზე შემდგომი მუშაობის საკითხი და მიღებული ზომების შესახებ აცნობონ განათლების სამინისტროს 1980 წლის 1 აგვისტომდე.

9. აღნიშნული გადაწყვეტილება და თანდართული ცნობა რეაგირებისათვის გადაეგზაენოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ განმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქართველო კპ მესტიის, ლენტეხისა და თიანეთის რაიონულ კომიტეტებს.

10. გადაწყვეტილება და თანდართული სკოლების სამმართველოს ცნობა გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში“ (ამხ. ნ. შეცვლის) და სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.
11. კონტროლი ამ გადაწყვეტილების განხორციელებაზე დაევალოს სკოლების სამმართველოს (ამხ. კ. სუკაშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე

მინისტრი

ო. ჩინელაძე

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასებისა და რვაკლასდამთავრებულთა მოწმობების გაცემის საქმეში არსებული სერიოზული დარღვევი-ბის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამ-ბართველომ მიმდინარე წლის იანვარში შეამოწმა რესპუბლიკის ქა-ლაქებისა და რაიონების სკოლებში რვაკლასდამთავრებული იმ მოს-წავლეთა ცოდნის შეფასების ობიექტურობა და მათთვის რვა კლა-სის განათლების მოწმობების გაცემის სისწორე, რომლებიც უგა-მოცდოდ არიან ჩარიცხულნი საშუალო სპეციალურ სასწავლებლებ-სა და და ტექნიკუმებში.

შემოწმებით გამოვლინდა, რომ მიუხედავად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და აღვილობრივი სახალხო განათ-ლების ორგანოების მიერ გატარებული მრავალი ლონისძიებისა, სას-კოლო პედაგოგიურ კოლექტივებში ზნეობრივი კლიმატის გაჯანსა-ლებისათვის მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასების საქმეში არაობიექტურობის, ლიბერალიზმისა და პროტექტიონიზმის აღმო-ფხვრისათვის და სახალხო განათლების სისტემის ყველა რგოლში სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებისათვის, ცალკეულ სას-კოლო პედაგოგიურ კოლექტივებში კვლავ აღგილი ქქვე მოსწავლე-თა ცოდნის შემოწმება-შეფასებაში არაობიექტურობას, ლიბერა-ლიზმს, პროტექტიონიზმს, რვა კლასის განათლების მოწმობების შევსებისა და გაცემის საქმეში ოვალისახვევისა და სიყალბის ჩა-დენის დანაშაულებრივ შემთხვევებს.

თბილისის 46-ე საშუალო სკოლაში (ცოფილი დირექტორი თ. ჭანტურიშვილი) მოსწავლეებს მ. მესხიშვილსა და მ. ედილა-შვილს, რომლებიც საშუალო წარმატების მოსწავლეები იყვნენ, 1977 წელს მიეცათ რვა კლასის განათლების ფრიადოსნობის მოწ-მობები ქების სიგელებით, რომლის საფუძველზედ ისინი უგამოც-დოდ ჩარიცხულნ თბილისის 1-ლ და მე-2 სამედიცინო სასწავლებ-ლებში.



ქუთაისის 23-ე საშუალო სკოლაში (ყოფილი დირექტორი დ. ქომეთიანი, ამჟამად 30-ე საშუალო სკოლის დირექტორის მოწმობა ადგილე) მოსწავლე ი. ჭურაძეს, რომელსაც 7 საგანში საშუალო წარმატება ქონდა, 1976 წელს მიეცა რვა კლასის განათლების ფრიადოსნობის მოწმობა ქების სიგელით, რის საშუალებითაც იგი უგამოცდოდ ჩაირიცხა ქუთაისის სამედიცინო სასწავლებელში.

თბილისის საღამოს (ცელის) 27-ე საშუალო სკოლის (დირექტორი ნ. არჩევაძე) სამოსან მოსწავლეს ნ. ჩინჩირიქს, რომელიც 1978 წლის დეკემბრის თვეში განათლების განყოფილების ნებართვის გარეშე მე-3 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლიდან გადავიდა საღამოს სკოლაში სასწავლებლიდ, 1979 წელს მიეცა რვა კლასის განათლების ფრიადოსნის მოწმობა ქების სიგელით, რის საშუალებითაც იგი უგამოცდოდ ჩაირიცხა თბილისის მე-2 სამედიცინო სასწავლებელში.

შემოწმებით გამოვლინდა ისეთი შეუწყნარებელი შემთხვევებიც, როდესაც რვა კლასის განათლების მოწმობები გაცემულია პირებზე, რომლებსაც საერთოდ არ უსწავლიათ ამ სკოლებში. მაგალითად: ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ნაქელუს რვაწლიანი სკოლის ყოფილმა დირექტორმა მ. ჯიქიამ რვა კლასის განათლების ფრიადზე დამთავრების მოწმობა მისცა ე. წურწუმიას, რომელსაც ამ სკოლაში არასდროს უსწავლია, რის საშუალებითაც იგი უგამოცდოდ ჩაირიცხა ფოთის სამედიცინო სასწავლებელში, საიდანც გაირიცხა სიყალბის გამომჟღავნების შემდეგ (სკოლის დირექტორი მ. ჯიქია კი განთავისუფლებულია თანამდებობიდან).

შესტიის რაიონის სოფელ ნაკრის რვაწლიან სკოლაში (დირექტორი ქ. ცინდელიანი) ქ. ანსიანს, რომელმაც ჭერ კიდევ 1975 წელს დამთავრა ამ სკოლის რვა კლასი „ოთხებზე“, 1978 წელს მისცეს რვა კლასის განათლების ფრიადოსნის ახალი მოწმობა, რის საშუალებითაც იგი ჩაირიცხა თბილისის მე-3 სამედიცინო სასწავლებელში.

აღსანიშნავია, რომ ქ. ანსიანზე მეორედ გაცემული მოწმობა მიღებული ქონდა წალენჯიხის რაიონის სოფელ ლანჯიშის საღამოს საშუალო სკოლას 1971 წელს (ყოფილი დირექტორი ნ. შონია).

სოფელ იელის რვაწლიან სკოლაში (დირექტორი რ. გულბანი) 6. ფარგიანს, რომელმაც 1977 წელს საშუალო აკადემიური წარმა-

ტებით დაამთავრა სოფელ ლატალის საშუალო სკოლის რვა კლასი, ხოლო 1979 წელს ამავე სკოლის სრული კურსი, 1979 წელს მისცდებული რვა კლასის განათლების ფრიადოსნის მოწმობა, რომლის მიხედვითაც ნ. ფარჯიანმა თოთქოს 1975 წელს 13 წლის ასაკში წარჩინებით დაამთავრა სოფელ იელის რვაწლიანი სკოლა. აღნიშნული ყალბი მოწმობის საშუალებით ნ. ფარჯიანი უგამოცდოდ ჩაირიცხა თბილის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკურში.

ასეთივე ყალბი ფრიადოსნის მოწმობა მიეცა ი. ფარჯიანსაც, რომელმაც 1977 წელს დამაკმაყოფილებელი წარმატებით დაამთავრა სოფელ ლატალის საშუალო სკოლის რვა კლასი. როგორც დადგინდა, ი. და ნ. ფარჯიანებზე გაცემული რვა კლასის დამთავრების მოწმობები უნდა შეიღოთ 1975 წელს სოფელ იელის სკოლის კურსდამთავრებულებს მ. და მ. ხვიბლიანებს, მაგრამ მათ ეს მოწმობები დღემდე არ მიუღიათ.

თბილისის 1-ლ სამედიცინო სასწავლებელში ჩარიცხულ ნ. კვიციანს მოღებული ქონდა სოფელ მაზერის რვაწლიანი სკოლის სახელით გაცემული ფრიადოსნის მოწმობა. შემოწმებით ვერ დადგინდა, თუ ვის მიერ იყო დამოწმებული ეს მოწმობა. მასწავლებელ გ. წერედიანის განმარტებით, მან სკოლის დირექტორის სამუშაო მავრიდიდან აიღო სკოლის ბეჭედი და დაამოწმა ნ. კვიციანის მოწმობა.

როგორც დადგინდა, ნ. კვიციანზე გაცემული მოწმობა უნდა შეიღო სოფელ ხაიშის საშუალო სკოლის რვაკლასდამთავრებულს (დირექტორი ე. ვეზდენი) მ. ჭკადუას; (მოწმობების გაცემის წიგნში სოფელ ხაიშის სკოლაში რეგისტრირებული და ხელმოწერილია, თითქოსდა მ. ჭკადუას მიღებული აქვს აღნიშნული მოწმობა, თუმცა მას იგი დღემდე არ მიუღია).

სოფელ აღიშის რვაწლიან სკოლაში (დირექტორი მ. ავალიანი) მ. ხორგუანს (რომელმაც 1975 წელს საშუალო აკადემიური წარმატებით დაამთავრა სოფელ იფარის საშუალო სკოლა) მიეცა რვა კლასის დამთავრების ყალბი მოწმობა, რომლის მიხედვითაც მ. ხორგუანმა თითქოს 21 წლის ასაკში ფრიადზე დაამთავრა სოფელ აღიშის რვაწლიანი სკოლა. აღნიშნული მოწმობის საშუალებით მ. ხორგუანი 1979 წელს უგამოცდოდ ჩაირიცხა თბილისის 1-ლ სამედიცინო სასწავლებელში.



იმის გამო, რომ მესტიის განათლების განყოფილებაში ტურისტური კლასის მოწმობების აღრიცხვისა და გაცემის წიგნების წარმოების საქმეში უხეშად არის დარღვეული დაწესებული ინსტრუქცია (ყოფილი გამგე მ. გუჯეგიანი) ვერ დადგინდა, თუ რომელ სკოლაზე გაცემული მოწმობის ბლანკი მიეცა მ. ხორგუანს.

სრული ქაოსია რვა კლასის განათლების მოწმობების მიღება-გაცემის საქმეში ლენტების რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, რაც უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია განათლების განყოფილების (გამგე ი. ჩანქელიანი) მოუქნელი, არაკვალიფიციური ხელმძღვანელობით და სკოლის დირექტორთა დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობით: შემოწმებისას განათლების განყოფილებაში ინახებოდა 69 ცალი შეუცხებელი რვა კლასის განათლების მოწმობა, რომელთაგან 62 ცალი ჭერ კიდევ 1976 წელს ქონდა გადაბარების აქტით მიღებული ამ. ი. ჩანქელიანს ამავე რაიონის სალამოს სკოლაში, რომელიც შემდგომში გადაკეთდა დასწრებულ-დაუსწრებელ სკოლად. აღნიშნულ სკოლაში წლების განმავლობაში ინახებოდა შეუცხებელი ატესტატები და რვა კლასის განათლების მოწმობები, რომლებსაც ხშირად „სესხის“ სახით აძლევდნენ სხვადასხვა სკოლებს კურსდამთავრებულებზე ფრიადოსნობის ყალბი მოწმობების გასაცემად, კერძოდ:

ლენტების საშუალო სკოლის მე-8 კლასის შოსწავლე გ. ქურასბედიანი, რომელიც I მეოთხედში 5 საგანში „3“-ზე იყო შეფასებული, სასწავლო წლის ბოლოს 1976 წელს (მარტში) გადაიყვანეს სოფელ მელურის რვაწლიან სკოლაში (დირექტორი მ. ონიანი) განათლების განყოფილების ნებართვის გარეშე, სადაც მისცეს რვა კლასის დამთავრების ფრიადოსნობის მოწმობა (ჩაირიცხა თბილისის მე-3 სამედიცინო სასწავლებელში). ამ. მ. ონიანმა დაუშვა მეორე უხეში დარღვევაც — რვაკლასდამთავრებულ ქურასბედიანზე გასცა სალამოს სკოლიდან „ნასესხები“ მოწმობის ბლანკი (მიღებული 5 წლის წინათ, მისი სალამოს სკოლაში დირექტორად მუშაობის პერიოდში). აღსანიშნავია, რომ რვა კლასის მოწმობების გაცემის წიგნის მიხედვით მოსწავლე ქურასბედიანის მიერ მიღებული მოწმობა სხვა ნომრით არის გატარებული.

ანალოგიურად, სალამოს სკოლიდან „ნასესხები“ რვა კლასის

განათლების მოწმობა ლენტეხის საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. ჭუსელიანი) გაიცა მოსწავლე ნ. ლეშეკაშელზე, რომელსაც უცხოურია ლოვნურად აუმაღლეს ნიშანი ანატომიაში და მისცეს ფრიადოსნის მოწმობა. აღნიშნულის მეშვეობით იგი უგამოცდოდ ჩაირიცხა თბილისის მე-3 სამედიცინო სასწავლებელში. ამავე სკოლაში გ. ლიპარტელიანს ხელოვნურად აუმაღლეს ნიშნები ორ საგანში (გეომეტრია-სა და ფიზიკაში) და მისცეს ფრიადოსნის მოწმობა, რის საფუძველ-ზეც გ. ლიპარტელიანი ჩაირიცხულია თბილისის მე-2 სამედიცინო სასწავლებელში.

ლენტეხის რაიონის სოფელ ჩოლურის საშუალო სკოლის სრული კურსი (დირექტორი ნ. ბაბლუანი) 1971 წელს დამთავრა ტ. ბაბლუანმა, მასვე 1976 წელს მიეცა რვა კლასის დამთავრების ყალბი მოწმობა, რომლის მიხედვითაც ტ. ბაბლუანმა 23 წლის ასაკში ფრიადზე დამთავრა აღნიშნული სკოლის რვა კლასი. მიღებული ყალბი მოწმობის საშუალებით ტ. ბაბლუანი უგამოცდოდ ჩაირიცხა თბილისის პოლიტექნიკურ ტექნიკუმში. შემოწმებით დადგინდა, რომ ტ. ბაბლუანზე გაცემული მოწმობის ბლანკი მიღებული აქვს სოფელ ჩიხარეშის საშუალო სკოლას (ყოფილი დირექტორი ზ. გულბანი, რომელმაც შეუვსებელი მოწმობა 1977 წელს აქტის გარეშე გადასცა ახალ დირექტორს პ. ხაჭაპანს რვაკლასდამთავრებულ ჯანმრთელზე გასაცემად, მაგრამ, როგორც უკვე აღინიშნა, შემდგომში ეს მოწმობა 1978 წელს შეივსო სოფელ ჩოლურის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ ტ. ბაბლუანზე).

